



MES 5 22 0001003831



05/09/2022

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 01/09/2022

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო: 15:15სთ

სხდომის თავმჯდომარე - ბორის ლეჟავა

სხდომის მდივანი - არჩილ სუმბაძე

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

საბჭოს წევრები:

ბორის ლეჟავა - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდაჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

არჩილ სუმბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, საბჭოს წევრი, სხდომის მდივანი;

თამარა თორია - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი)

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|-----------------|--|
| 1 | თამარ რატიანიძე | ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 103 -ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით.

დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბორის ლეჟავა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის N924080 სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება:

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა:

1. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის N924080 სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად ან უარი განაცხადოს განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები დეტალურად იყო წარმოდგენილი დებულების 97-ე მუხლის პირველ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებდა დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი როგორც წესი მიიღებოდა განსახილველად. ცენტრის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოიკვლია, ხომ არ ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიმართული საქალაქო სასამართლოსთვის, რის შესახებაც განმცხადებელმა წერილობით დაადასტურა, რომ სააპელაციო საბჭოს გარდა, შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის N844995 გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე, გასაჩივრებული

ჰქონდა სასამართლოშიც. უნდა აღინიშნოს, რომ მხარემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად განახორციელა სარჩელის გამოხმობა, რაც მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ საკითხი სასამართლო წარმოებაში არ იყო.

სხდომის მდივანმა, არჩილ სუმბაძემ ყურადღება გაამახვილა მხარის მიერ სააპელაციო საჩივრით წარმოდგენილ მოთხოვნაზე და აღნიშნა, რომ წერილში დაფიქსირებული სამპუნქტიანი მოთხოვნა არასწორად იყო ფორმულირებული, კერძოდ, ერთ-ერთი პუნქტი ეხებოდა სააპელაციო საბჭოს მიერ დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭებას, რაც შედიოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებში.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შინაარსობრივად სააპელაციო საჩივარი მიუთითებდა ზოგად მოთხოვნაზე, დაბრუნებოდა დაწესებულებას ავტორიზაცია.

სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია დებულების 97-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით და დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის N924080 სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის N924080 სააპელაციო საჩივარი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
თავმჯდომარე
ლექავა ბორის



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სუმბაძე არჩილ

